ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №15
2021 წლის 16 დეკემბერი

ქ. ონი

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“, „დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

დამტკიცდეს ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 3

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №9 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 30/06/2017, სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.118.016211).

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ბაჩანა მარკოიშვილი**

დანართი №1

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის დადგენილება №34 - ვებგვერდი, 26.12.2022წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 აპრილის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 28.04.2023წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები

№	თანამდებობის დასახელება	რანგი	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
	საკრებულოს თანამდებობის პირები		
1	საკრებულოს თავმჯდომარე		4961
2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე		3267
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე		3135

4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე		2662
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე		2420
6	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე		1936
	საკრებულოს აპარატი		
7	აპარატის უფროსი	I რანგი	2420
8	I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი	1331
9	II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი	968
10	II კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	IV რანგი	907

დანართი №2

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 24 მარტის დადგენილება №17 - ვებგვერდი, 28.03.2022წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 აპრილის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 28.04.2023წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა

№	რანგი	თანამდებობის დასახელება	საშტატო რიცხოვნობა
1	I რანგი	აპარატის უფროსი	1
2	III რანგი	I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	3
3	III რანგი	II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2
4	IV რანგი	II კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1